MOORE

საკანონმდებლო სიახლეები

სექტემბერი - ნოემბერი, 2021

შინაარსი

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996
გვერდი 1-2

ცვლილებები შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი
გვერდი 2

სალომე ოდიშარია
საგადასახადო კონსულტანტი

T: +995 (599) 195 040
E: salome.odisharia@moore.ge

თეონა აბდუშელიშვილი
პარტნიორი

T: +995 (558) 506 006
E: theona.abdushelishvili@moore.ge

MOORE
T: +995 (322) 000 123
E: info@moore.ge
მისამართი: მარჯანიშვილის ქ N6, მწვანე შენობა, 0102, თბილისი, საქართველო

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში №996

- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის ბრძანებაში №996, რომელიც გადასახადების ადმინისტრირებას შეეხება, შევიდა შემდეგი სახის ცვლილებები:

2021 წლის 1-ელ ოქტომბერს შესული ცვლილებით დაზუსტდა დასაბეგრი პირის მიერ ძირითად საშუალებებზე ჩასათვლელი დღგ-ის თანხის განსაზღვრის წესი დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში. ახალი ცლილება ვრცელდება 2021 წლის პირველი იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე და ითვალისწინებს დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის შემთხვევაში იმ ძირითად საშუალებებზე ჩასათვლელი დღგ-ის თანხის, რომელიც დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციამდე იყო შესყიდული და შესაბამისად, არ იყო ჩათვლილი დღგ-ის თანხა, შემდეგნაირად განისაზღვრა:

ა) დასაბეგრი პირის მიერ დღგ-ის ჩათვლა ხორციელდება ამ ინსტრუქციის 73-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი წესით, თუ ძირითადი საშუალება დასაბეგრი პირის მიერ გამოიყენება ან გამიზნულია გამოსაყენებლად როგორც ოპერაციებისთვის, რომელზეც აქვს დღგ-ის ჩათვლის მიღების უფლება, ისე ოპერაციებისთვის, რომელზეც ეს უფლება არ აქვს და ამ ოპერაციების გამიჯვნა შეუძლებელია;

ბ) დასაბეგრ პირს უფლება აქვს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის მომენტიდან არაუგვიანეს დეკემბრის საანგარიშო პერიოდისა სრულად მიიღოს დღგ-ის ჩათვლა, თუ ძირითადი საშუალება დასაბეგრი პირის მიერ გამოიყენება ან გამიზნულია გამოსაყენებლად მხოლოდ ისეთ ოპერაციებში, რომლებზეც გააჩნია ჩათვლის მიღების უფლება. ამასთანავე, იმ შემთხვევაში, თუ პირი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად 2021 წლის 1 იანვრამდე და რეგისტრაციის თარიღამდე ექსპლუატაციაში შესულ ძირითად საშუალებებზე ვერ განახორციელა დღგ-ის ჩათვლა, უფლება აქვს 2021 წლიდან ჩათვლისთვის განსაზღვრული დარჩენილი წლების პროპორციულად განსაზღვრული დღგ-ის თანხა ჩაითვალოს ყოველი წლის ბოლოს დასაბეგრ ოპერაციებში გამოყენების პროპორციულად.

- 2021 წლის 15 ოქტომბრის ცვლილებით დაზუსტდა საგადასახადო შემოწმებისას გადასახადის გადამხდელის დასაბეგრი ქონების ღირებულების საბაზრო ფასით განსაზღვრის წესი, კერძოდ, როგორც აქამდე იყო ცნობილი, შემმოწმებელს შეუძლია შემოწმების პერიოდში გადასახადის გადამხდელს ქონების გადასახადი უანგარიშოს მის საბაზრო ღირებულებაზე და არა საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, თუ დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი არანაკლებ 10%-ით აღემატება მის საბალანსო ღირებულებას. აღნიშნული ცვლილებით:

როდესაც საგადასახადო ორგანოს წარმოეშვა უფლებამოსილება გადასახადის გადამხდელს დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით, საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით, თუ:

ა) დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აფასების შედეგად გამოანგარიშებული დასაბეგრი ქონების ღირებულება აღემატება ამ ქონების საბაზრო ფასს.

ამასთანავე, საბაზრო ფასი არ გამოიყენება, თუ:

ა) დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი არაუმეტეს 10%-ით აღემატება მის საბალანსო ღირებულებას;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აფასების შედეგად გამოანგარიშებული დასაბეგრი ქონების ღირებულება არაუმეტეს 10%-ით აღემატება ამ ქონების საბაზრო ფასს.

- 2021 წლის 21 ოქტომბრის ცვლილებით:

სატრანსპორტო და მასთან უშუალოდ დაკავშირებული მომსახურების გაწევა, რომლის ღირებულება შეიტანება საქართველოს საბაჟო კოდექსით განსაზღვრულ საქონლის საბაჟო ღირებულებაში, განიხილება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 172-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ოპერაციების ნაწილად და ექვემდებარება დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებას. აღნიშნული ცვლილება ვრცელდება 2021 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

შემოსავლების სამსახურის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტი

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება №25697 2021 წლის 05 ავგისტო. ცალკეულ შემთხვევებში გადასახადის გადამხდელისათვის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურების, საგადასახადო დოკუმენტების გამოწერის/დადასტურების და სასაქონლო ზედნადების გამოწერის უფლების შეზღუდვის შესახებ

აღნიშნული ცვლილების თანახმად:

არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელისთვის კვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს:

- გადასახადის გადამხდელის საგადასახადო დავალიანება.
- გადასახადის გადამხდელის დამფუძნებელი პარტნიორის საგადასახადო დავალიანება ან/და გადასახადის გადამხდელის დამფუძნებელი პარტნიორის მიერ დაფუძნებული სხვა საწარმოს საგადასახადო დავალიანება.

ამ ბრძანების 51-ე პუნქტის მიზნებისათვის, საგადასახადო ორგანო განსაზღვრავს საგადასახადო დავალიანების და დამფუძნებელი პარტნიორის წილობრივი მონაწილეობის ოდენობას საწარმოში, რა შემთხვევაშიც, პირს არ მიენიჭება კვალფიციური დღგ-ს გადამხდელის სტატუსი.

MOORE

ჩვენ შესახებ

MOORE abc წარმოადგენს აუდიტორული და საკონსულტაციო ფირმების გლობალური ქსელის **“Moore Global Network Limited “**- ის წევრ კომპანიას. Moore Global - ი წარმოადგენს საბუღალტრო და ბიზნეს საკონსულტაციო კომპანიას რომელიც მსოფლიოს 114 ქვეყანაშია წარმოდგენილი. 2019 წლისათვის ქსელის საერთო შემოსავალმა შეადგინა 3.05 მილიარდი აშშ დოლარი.

>114 ქვეყანაში

>260 წევრი

>579 ოფისი

>30,809 თანამშრომელი

MOORE

MOORE abc არის ერთ-ერთ ლიდერი კომპანია ქვეყანაში, რომელიც 2008 წლიდან უწევს საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვა-ანგარიშგების, ქონების შეფასების, აუდიტსა და დაკავშირებულ პროფესიულ მომსახურებას მთელი საქართველოს მასშტაბით.



www.moore-georgia.ge

MOORE

We believe the information contained herein to be correct at the time of going to press, but we cannot accept any responsibility for any loss occasioned to any person because of action or refraining from action as a result of any item herein. Printed and published by © Moore Global International Limited. Moore Global International Limited, a company incorporated in accordance with the laws of England, provides no audit or other professional services to clients. Such services are provided solely by member and correspondent firms of Moore Global International Limited in their respective geographic areas. Moore Global International Limited and its member firms are legally distinct and separate entities. They are not and nothing shall be construed to place these entities in the relationship of parents, subsidiaries, partners, joint ventures, or agents. No member firm of Moore Global International Limited has any authority (actual, apparent, implied, or otherwise) to obligate or bind Moore Global International Limited or any other Moore Global International Limited member or correspondent firm in any manner whatsoever.